წერეთლის გამზირზე №117-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.13.06.001.015; 01.13.06.001.011; 01.13.06.001.016; 01.13.06.001.036; 01.13.06.001.027) – ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასება



წერეთლის გამზირზე #47-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.13.06.001.015; 01.13.06.001.011; 01.13.06.001.016; 01.13.06.001.036; 01.13.06.001.027) – ტრანსპორტზე ზემოქმედების შეფასება

შემსრულებელი:

შპს „STS“

ნ. არჩუაძე

ზ. ბერაძე



სარჩევი

პროექტის ძირითადი მიზნები და ამოცანები 12
საკვლევი არეალი 12
არსებული სიტუაციის მიმოხილვა 13
ქუჩათა ქსელი 13
საპროექტო ტერიტორიის შესწავლა საკვლევი არიალის ფარგლებში 21
კვლევის მიზანი 21
მეთოდოლოგია (არსებული სიტუაციის შესწავლა) 21
კვლევის ჩატარების პროცესი 22
ქვეითთა მოძრაობა 23
საზოგადოებრივი ტრანსპორტი 24
რეზერვების ანალიზი 26
შემოთავაზებული მშენებლობის მიმოხილვა 34
გენერირებული/მიზიდული ნაკადები და სივრცითი განაწილება 36
გენერირებული ნაკადები 36
გენერირებული (საპროექტო) ნაკადების კალკულაცია - საზოგადოებრივი ტრანსპორტი 41
მიზიდული ნაკადები 44
საზოგადოებრივი ტრანსპორტის საპროგნოზო რეზერვები 50
საკვლევი არეალის ქუჩებისა და კვანძების გამტარუნარიანობის კვლევა 51
ლოკაცია #1. ა. წერეთელის გამზირის და დიდუბოს ხიდის გადაკვე (დან. 1. ილუსტრაცია# 1) 51
ლოკაცია #2 მ/ს „დიდუბის“ მიმდებარედ წრიული მოძრაობის ანგარიში. (დან. 1. ილუსტრაცია# 2) .. 58
ლოკაცია #3 აკაკი წერეთლის გამზირის და თორნიკე ერისთავის ქუჩის კვეთა (დან. 1. ილუსტრაცია# 3) 62
ლოკაცია #4 აკაკი წერეთლის გამზირის და სამტრედიის ქუჩის კვეთა (დან. 1. ილუსტრაცია# 4) 68
გამოვლენილი ნაკლოვანებები და რეკომენდაციები 75
ქუჩათა ქსელი 75
საქვეითე მოძრაობა 77
საზოგადოებრივი ტრანსპორტი 79
დანართი 81
[1] სატრანსპორტო ნაკადები მიმართულებებით 81
[2] სატრანსპორტო ნაკადები 15 წუთიანი ინტერვალებით 85
[3] M3 მარშუტები: 87
[4] M2 მარშუტები: 96
გამოყენებული ლიტერატურა 110

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-01182223170**
თარიღი: **10/08/2018**
პინი: **8485**

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ადრესატი: შპს გლობალური ტექნოლოგიები
საიდენტიფიკაციო ნომერი: 202185553
მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი წერეთლის გამზირი, N117

შპს „გლობალური ტექნოლოგიები"-ს დირექტორს
ბატონ უჩა გელაშვილს

ბატონო უჩა,

2018 წლის 3 აგვისტოს თქვენი N10/01182151524-16 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, წერეთლის გამზირი N117-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ 01.13.06.001.015; 01.13.06.001.011; 01.13.06.001.016; 01.13.06.001.036; 01.13.06.001.027) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებისთვის ტრანსპორტის კვლევის არეალების განსაზღვრას, გაცნობებთ:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის „12" პუნქტის და მე-9 მუხლის „51" შესაბამისად წარმოსადგენია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება.

ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასებასთან ერთად წარმოდგენილი მოძრაობის ორგანიზების სქემა (საპროექტო ტერიტორიასა და ა. წერეთლის გამზირს შორის კავშირის ჩვენებით) უნდა იყოს შეთანხმებული ტრანსპორტის საქალაქო სამსახურსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან. სქემის შესათანხმებლად, სამსახურში უნდა იყოს წარმოდგენილი A3 ფორმატით ამობეჭდილი ოთხი ფერადი ეგზემპლარი.

ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კომპონენტები და საკვლევი არეალები მოცემულია დანართის სახით.

დანართი 1: 4 ფურცელი

დანართი 2: 1 ფურცელი

დანართი 3: 1 ფურცელი

პატივისცემით,

მამუკა მუმლაძე

ტრანსპორტის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

	წინასაპროექტო კვლევა	საკვლევი ტერიტორია	განმარტება
1	საკვლევი ტერიტორიის არსებული სატრანსპორტო მდგომარეობის შესწავლა		
1.1.	საკვლევი ტერიტორიის საგზაო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა და რეზერვი	*ქუჩები:* *ა. წერეთლის გამზირის ნაწილი სამტრედიის ქუჩის კვეთამდე;* *სამტრედიის ქუჩა.* *კვანძები:* *N1. სამტრედიის ქუჩა - ა. წერეთლის გამზ;* *N2. ა. წერეთლის გამზ. - თ. ერისთავის ქუჩა;* *N3. ა. წერეთლის გამზ. - ტრანსპორტის ქუჩა* *N4. ა. წერეთლის გამზ. - ნ. გაფრინდაშვილის ქუჩა - შ. შალიკაშვილის ქუჩა*	საჭიროა მონიშნული ქუჩებისა და კვანძების ***გამტარუნარიანობის გამოთვლა, არსებული ნაკადების დათვლა და რეზერვის გაანგარიშება.*** საკვლევი ტერიტორია უნდა მოიცავდეს იმ გზებსა და ძირითად კვანძებს, რომლებიც უზრუნველყოფს საპროექტო ტერიტორიის კავშირს ქალაქთან სხვადასხვა მიმართულებით, მიზიდვის ძირითადი წერტილებისაკენ.
1.2.	საქვეითე ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაცია და საქვეითე მისაწვდომობა	*საპროექტო ტერიტორიიდან ა. წერეთლის გამზირსა და მ/ს*	საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლისას უნდა გამოვლინდეს საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში საზ. ტრანსპორტის გაჩერებამდე ***მისასვლელი მანძილი,*** საქვეითე გადასასვლელების გათვალისწინებით. ასევე საჭიროა ***საქვეითე ინფრასტრუქტურის***

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

		დიდუბის მიმდებარედ არსებულ უახლოეს ავტობუსის გაჩერებებამდე მისასვლელი გზა, საქვეითე გადასასვლელებისა და მ/ს დიდუბის გათვალისწინებით.	***ინვენტარიზაცია*** (უსაფრთხო და მოხერხებული გადაადგილების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა): ***ტროტუარის არსებობა, გარიერები ტროტუარზე, უსაფრთხო საქვეითე გადასასვლელების არსებობა.*** ინვენტარიზაციის საფუძველზე უნდა მოხდეს საპროექტო ტერიტორიის საქვეითე მისაწვდომობის ანალიზი. საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლა საჭიროა საპროექტო ტერიტორიამდე უსაფრთხო საქვეითე მისაწვდომობისათვის საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმ შემთხვევაში, როდესაც განაშენიანება არ არის ფეხითმოსიარულეთათვის ადვილად მისაწვდომი, მაცხოვრებელთა/ვიზიტორთა მგზავრობები უმეტესად მანქანით ხორციელდება. ასევე მნიშვნელოვანია საზ. ტრანსპორტამდე უსაფრთხო წვდომის უზრუნველყოფა.
1.3.	საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობა, მოცულობა და რეზერვი		საზოგადოებრივი ტრანსპორტის მდგომარეობის შესწავლისას საჭიროა საპროექტო ტერიტორიის მომსახურე საზ. ტრანსპორტის ***სივრცითი დაფარვის, მოცულობების და რეზერვის გამოთვლა.*** საზოგადოებრივი ტრანსპორტის არსებული მომსახურების შესწავლა საჭიროა იმისთვის, რომ დადგინდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების არსებული რეზერვი. რეზერვის გამოთვლისა და ზეგავლენის შეფასების შემდგომ გამოვლინდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესების საჭიროებები.
2	**ინფორმაცია პროექტზე**		
2.1.	შენობის საერთო ფართობი ფუნქციების მიხედვით		ეს მონაცემი საჭიროა საპროექტო ტერიტორიაზე მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების დაახლოებითი რაოდენობის დასადგენად.

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

2.2.	საპროექტო ტერიტორიის პერსპექტივაში მაცხოვრებელთა /ვიზიტორთა რაოდენობა		ამ მონაცემის საფუძველზე დადგინდება ახალი გენერირებული/მიზიდული მგზავრობების რაოდენობა.
3.	**საპროექტო ტერიტორიის გენერირებული/მიზიდული (საპროგნოზო) მგზავრობები**		
3.1.	საპროექტო ტერიტორიაზე გენერირებული/მიზიდული მგზავრობების საერთო რაოდენობა		
3.2	მგზავრობების მოდალური განაწილება		მოდალური განაწილება - გადაადგილების სხვადასხვა საშუალებების წილი მგზავრობების საერთო რაოდენობაში - მანქანა, საზ. ტრანსპორტი, ქვეითი, ტაქსი. ამ მონაცემის განსაზღვრა საჭიროა, იმის დასადგენად, თუ რა ზემოქმედება ექნება დაგეგმილ პროექტს სამანქანო ნაკადებზე; ასევე საზ. ტრანსპორტის მიწოდების დასაგეგმად და საქვეითო ინფრასქტრუქტურის მაკორექტირებელი ღონისძიებების დასადგენად. იმისათვის, რომ დიდი მასშტაბის განაშენიანებას არ ჰქონდეს უარყოფითი სატრანსპორტო შედეგები, საჭიროა ღონისძიებების დაგეგმვა, მოდალურ განაწილებაში სამანქანო გადაადგილების წილის შემცირების მიზნით. საპროგნოზო მგზავრობების მოდალური განაწილების დადგენა უნდა მოხდეს თბილისის ***შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის იმ მაკრო ან მიკრო ზონის მონაცემების საფუძველზე, რომელშიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორია.***

info@sts.com.ge
www.datalink.ge

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

			თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://tbilisi.gov.ge/page/3218
3.3.	მგზავრობების სივრცითი განაწილება		ამ მონაცემით განისაზღვრება, რომელ გზებზე და კვანძებზე იქნება ზეგავლენა; საზ. ტრანსპორტის რომელ მიმართულებაზე/ხაზებზე იქნება მომსახურების გაუმჯობესება საჭირო; სად იქნება საჭირო საფეხმავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. საპროგნოზო მგზავრობების სივრცითი განაწილების დადგენა უნდა მოხდეს ***შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის იმ მაკრო ან მიკრო ზონის მონაცემების საფუძველზე, რომელშიც მდებარეობს საპროექტო ტერიტორია.*** თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: http://tbilisi.gov.ge/page/3218
4. საპროგნოზო გენერირებული/მიზიდული მგზავრობების ზეგავლენის შეფასება			
	• გზათა ქსელზე (მათ შორის ძირითად კვანძებზე); • საზოგადოებრივ ტრანსპორტზე; • საქვეითე ინფრასტრუქტურაზე		კვლევის წინა კომპონენტებიდან გამომდინარე საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების ზეგავლენის შეფასება ტრანსპორტზე და ტრანსპორტის ცალკეულ სახეობებზე.
5	**რეკომენდაციები**		ზეგავლენის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ის ღონისძიებები, რაც საჭიროა დაგეგმილი განაშენიანების მომავალი მაცხოვრებლების და ვიზიტორების ტრანსპორტით უზრუნველყოფისა და მოდალურ განაწილებაში მანქანის როლის შესამცირებლად.

STS SMART TRANSPORTATION SOLUTIONS

დანართი 1: კვლევის კომპონენტები

6	გამოყენებული ლიტერატურა და სტანდარტები		კვლევის ტექსტურ ნაწილში მითითებული უნდა იყოს კვლევისა და ანალიზისას გამოყენებული სტანდარტები და მეთოდოლოგია და შესაბამისი ლიტერატურა.

თბილისის შინამეურნეობის სატრანსპორტო კვლევის მონაცემთა ბაზა და ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

http://tbilisi.gov.ge/page/3218


4621200
4621400
4621600
4621800
4622000
4622200
4622400
480400
480600
480800
481000
481200
481400
481600
481800
482000
482200
482400
N 1
N 2
N 3
N 4
N


4621400
4621600
4621800
4622000
4622200
481000
481200
481400
481600
481800
482000
დანართი 2. საკვლევი ინფრასტრუქტურის კვლევის არეალი
პირობითი აღნიშვნები
საპროექტო ტერიტორია
ავტობუსის გაჩერება
მეტრო
ქუჩა
საკვლევი ქუჩა
N
1:4500
თ. ერისთავის ქ.

პროექტის ძირითადი მიზნები და ამოცანები

ჩვენს მიერ შესრულებული სატრანსპორტო კვლევის მიზანია დადგინდეს ქ. თბილისში, წერეთლის გამზირზე #117-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი 01.13.06.001.015; 01.13.06.001.011;) 01.13.06.001.016; 01.13.06.001.036; 01.13.06.001.027; მდებარე მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განასენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების მიზანშეწონილობა საგზაო ინფრასტრუქტურის, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და ქვეითთა მისაწვდომობის კუთხით.

კვლევის დასახული მიზნის მისაღწევად განვიხილავთ წერეთლის გამზირის (სამტრედიის ქუჩის კვეთამდე), სამტრედიის ქუჩის, ა.წერეთლის გამზირი-სამტრედიის ქუჩის, ა.წერეთლის გამზირი-თ.ერისთავის ქუჩის, ა.წერეთლის გამზირი-ტრანსპორტის ქუჩის და ა.წერეთლის გამზირი-ნ.გაფრინდაშვილის-შ.შალიკაშვილის ქუჩების კვანძების დღეს არსებულ მდგომარეობას, საგზაო ინფრასტრუქტურას, ქვეითთა მოძრაობას და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობას.

საკვლევი არეალი

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს წერეთლის გამზირზე #117-ში (საკადასტრო კოდი 01.13.06.001.015; 01.13.06.001.011;) 01.13.06.001.016; 01.13.06.001.036; 01.13.06.001.027;). მისი ფართობი შეადგენს 14708 კვ.მ.-ს.



ილუსტრაცია # 1

არსებული სიტუაციის მიმოხილვა

ქუჩათა ქსელი

განვიხილავთ წერეთლის გამზირის (სამტრედიის ქუჩის კვეთამდე), სამტრედიის ქუჩის, ა.წერეთლის გამზირი-სამტრედიის ქუჩის, ა.წერეთლის გამზირი-თ.ერისთავის ქუჩის, ა.წერეთლის გამზირი-ტრანსპორტის ქუჩის და ა.წერეთლის გამზირი-ნ.გაფრინდაშვილის-შ.შალიკაშვილის ქუჩების კვანძების დღეს არსებულ მდგომარეობას და საგზაო ინფრასტრუქტურას.

1. წერეთლის გამზირი (სამტრედიის ქუჩის კვეთამდე)

#	მითითება	მახასიათებლები
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	3-3
3	ქუჩის სიგრძე	850 მ
4	ქუჩის სიგანე	24-25 მ
5	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60
6	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი
7	ტროტუარი	კი
8	ტრტუარის სიგანე	3-4
9	ტროტუარის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი, არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის
10	პარკირება	დაშვებულია ნაწილობრივ
11	საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები	6
12	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	კი
13	ვერტიკალური მონიშვნა	არა
14	შუქნიშნის ობიექტი	2
15	ავტობუსის ზოლი	არა
16	ქვეითთა მიწიზედა გადასასვლელი	კი
17	ველო ბილიკი	არა

ცხრილი N 1



ილუსტრაცია # 2



ილუსტრაცია # 3

2. სამტრედიის ქუჩა

#	მითითება	მახასიათებლები
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	2 - 1
3	ქუჩის სიგრძე	600 მ
4	ქუჩის სიგანე	14-15 მ
5	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60
6	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყოფილებელი
7	ტროტუარი	კი
8	ტრტუარის სიგანე	1,5-3
9	ტროტუარის საფარის მდგომარეობა	დაზიანებული, არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის
10	პარკირება	დაშვებულია
11	საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები	არა
12	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	არა
13	ვერტიკალური მონიშვნა	არა
14	შუქნიშნის ობიექტი	2
15	ავტობუსის ზოლი	არა
16	ქვეითთა მიწისქვეშა გადასასვლელი	არა
17	ველო ბილიკი	არა

ცხრილი N 2



ილუსტრაცია # 4



ილუსტრაცია # 5

კვანძების აღწერა

1. ა.წერეთლის გამზირი - სამტრედიის ქუჩა

დასახელება		ქუჩები და გამზირები	
#	წერეთლის გამზირი - სამტრედია	ა. წერეთლის	სამტრედიის
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი	ორმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	3-3	2
3	ქუჩის სიგანე მ	24-25	14-15
4	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60	60
5	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყ.	დამაკმაყ.
6	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	კი	არა
7	შუქნიშნის ობიექტით რეგულირებადი	კი	კი
8	ქვეითთა გადასვლა დარეგულირებულია	შუქნიშნის ობიექტით	შუქნიშნის ობიექტით
9	მოძრაობის მიმართულებები		
10	შენიშვნა		

ცხრილი N 2



ილუსტრაცია # 6

2. ა.წერეთლის გამზირი - თ.ერისთავის კვანძი

	დასახელება	ქუჩები და გამზირები	
#	ა.წერეთელი - თ.ერისთავი	ა.წერეთელი	თ.ერისთავი
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი	ორმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	2-4	2 - 4
3	ქუჩის სიგანე მ	25 - 26	21
4	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60	60
5	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყ.	დამაკმაყ.
6	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	კი	კი
7	შუქნიშნის ობიექტით რეგულირებადი	კი	კი
8	ქვეითთა გადასვლა დარეგულირებულია	შუქნიშნის ობიექტით	შუქნიშნის ობიექტით
9	მოძრაობის მიმართულებები		
10	შენიშვნა		

ცხრილი N 3



ილუსტრაცია # 7

3. ა.წერეთლის გამზირი - ტრანსპორტის ქუჩის კვანძი

	დასახელება	ქუჩები და გამზირები	
#	ა.წერეთელი - ტრანსპორტის ქ.	ა.წერეთელი	ტრანსპორტის ქ.
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი	ორმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	2-2	1-1
3	ქუჩის სიგანე მ	25 - 26	12-13
4	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60	60
5	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყ.	დაზიანებული
6	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	კი	არა
7	შუქნიშნის ობიექტით რეგულირებადი	არა	არა
8	ქვეითთა გადასვლა დარეგულირებულია	გადასასვლელი ხიდით	არა
9	მოძრაობის მიმართულებები		
10	შენიშვნა		

ცხრილი N 4



ილუსტრაცია # 8

4. ა.წერეთლის გამზირი - გაფრინდაშვილის ქ. - შალიკაშვილის ხიდის კვანძი

	დასახელება	ქუჩები და გამზირები		
#	ა.წერეთელი-გაფრინდაშვილი-შალიკაშვილი.	ა.წერეთელი	გაფრინდაშვილი	შალიკაშვილი
1	მოძრაობის მიმართულება	ორმხრივი	ცალმხრივი	ორმხრივი
2	ზოლების რაოდენობა	2-2	2-2	3 - 3
3	ქუჩის სიგანე მ	25 - 26	8 -9	21
4	რეგულირებადი სიჩქარე კმ/სთ	60	60	60
5	გზის საფარის მდგომარეობა	დამაკმაყ.	დამაკმაყ.	დამაკმაყ.
6	ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნა	კი	არა	კი
7	შუქნიშნის ობიექტით რეგულირებადი	არა	არა	არა
8	ქვეითთა გადასვლა დარეგულირებულია	არა	არა	არა
9	მოძრაობის მიმართულებები			
10	შენიშვნა			

ცხრილი N 5



ილუსტრაცია # 9

საპროექტო ტერიტორიის შესწავლა საკვლევი არიალის ფარგლებში

კვლევის მიზანი

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის, სატრანსპორტო და საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლა. პროექტის განხორციელების შემდგომ სატრანსპორტო ნაკადებზე ზეგავლენის შეფასება.

მეთოდოლოგია (არსებული სიტუაციის შესწავლა)

პირველ ეტაპზე, რუკაზე განისაზღვრება საკვლევი ტერიტორიის არეალი და აღინიშნება ის ქუჩები, გამზირები და გზაჯვარედინები (მოცემული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ), რომლებზეც ზეგავლენას მოახდენს პროექტის განხორციელება.

საპროექტო არეალზე მისვლით და შესწავლით, ზუსტდება ადგილები და მათი რაოდენობა, სადაც უნდა განხორციელდეს კვლევა.

დამკვირვებლებს რომლებიც კვლევის განხორციელებაში იღებენ მონაწილეობას ჩაუტარდათ ტრეინინგი. მათი უმრავლესობა შეადგენს სტუდენტებს, რომლებიც გამოირჩევიან საჭირო უნარჩვევებით კონკრეტული დავალებების შესასრულებლად.

კვლევის ჩატარების პროცესი

- ეტაპი პირველი: საქვეითე ინფრასტრუქტურის კვლევა

განისაზღვრა საპროექტო არეალიდან გამომსვლელი და შემსვლელი ქვეითთა სავარაუდო გადაადგილდების სქემა.

- ეტაპი მეორე: საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიწვდომადობის შესწავლა

საპროექტო არეალიდან უახლოეს გაჩერებებზე ჩავატარეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის კვლევა.

კვლევა განხორციელდა დამკვირვებლების მიე, სუპერვაიზერის მეთვალყურეობის ქვეშ.

კვლევა განხორციელდა კვირის ორ სამუშაო დღეს, დილის და საღამოს პიკი საათებში (17-18 ოქტომბერი, ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 08:30 - 09:30 და 18:00 - 19:00 სთ).

საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის ანალიზისათვის, აღვრიცხეთ გაჩერებაზე M3 და M2 კატეგორიის ავტობუსები. გაჩერებებზე დამკვირვებლებმა მოახდინეს საზოგადოებრივ ტრანსპორტზე დაკვირვება და მისი დატვირთულობის შეფასება.

შევიმუშავეთ 10 ბალიანი სისტემა სატრანსპორტო საშუალებების დატვირთულობის ანალიზისათვის (ცხრილი N 6).

გაჩერებებზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის დატვირთულობის შეფასება .											
M2 კატეგორიის ავტობუსი (16 დასაჯდომი + 5 ფეხზე მდგომი მგზავრი)											
ქულა	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მგზავრების რაოდენობა	0	2	4	6	9	12	14	16	18	20	21 +
M3 კატეგორიის საშუალო ტევადობის ავტობუსი (21 დასაჯდომი + 22 წებადართული ფეხზე მდგომი მგზავრი)											
ქულა	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მგზავრების რაოდენობა	0	3	8	12	16	21	26	30	35	39	43 +
M3 კატეგორიის დიდი ტევადობის ავტობუსი (31 დასაჯდომი + 49 წებადართული ფეხზე მდგომი მგზავრი)											
ქულა	0	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მგზავრების რაოდენობა	0	5	10	18	24	31	40	50	60	70	80 +
შენიშვნა	10 ქულა ნიშნავს სრულ დატვირთულობას, როდესაც ტრანსპორტში ასვლა შეუძლებელია და გაჩერებაზე არსებული მგზავრი ვერ ახერხებს საზოგადოებრივ ტრანსპორტში ასვლას.										

ცხრილი N 6

მიღებული შეფასებებიდან და სატრანსპორტო საშუალებების ტევადობებიდან გამომდინარე, მოხდა მათი ცხრილის სახით ფორმატირება, სადაც ასევე მიღებულია კომბინირებული მონაცემები თითოეული მარშრუტის საშუალო დატვირთულობისა და რეზერვის გათვალისწინებით.

- ეტაპი მესამე: სატრანსპორტო ნაკადების შესწავლა

პროექტის არეალიდან გამომდინარე, განსაზღვრულ კვანძებზე, კვლევა განხორციელდა კვირის ორ სამუშაო დღეს, დილის და საღამოს პიკი საათებში (17-18 ოქტომბერი, ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 09:00 - 10:00 და 18:00 - 19:00 სთ).

სატრანსპორტო ნაკადების შესწავლა ხდება თანამედროვე ვიდეო კამერებით (ილუსტრაცია # 10), რის შემდეგაც საგზაო მონაცემებს ამუშავებენ მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები.



ილუსტრაცია # 10

ქვეითთა მოძრაობა

საპროექტო ტერიტორიიდან ქვეითთა მოძრაობის შესწავლისას განვიხილავთ მათ წერეთლის გამზირზე გადაადგილებას: 1. ა. წერეთლის გამზირზე #882 საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებამდე მისასვლელად ქვეითმა ტროტუარზე უნდა გაიაროს 120მეტრი (2 წუთი ფეხით სავალი); 2. ა. წერეთლის გამზირზე #903 საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებამდე მისასვლელად ქვეითმა საპროექტო ტეროტორიასთან მდებარე ზებრა გადასასვლელით უნდა გადაკვეთოს წერეთლის გამზირი და ტროტუარზე გაიაროს 300მეტრი (3 წუთი) 3. ა. წერეთლის გამზირზე მ/ს „დიდუბე“-მდე მისასვლელად ქვეითმა უნდა გაიაროს 500 მეტრი (7 წუთი ფეხით სავალი).



ილუსტრაცია # 11

საზოგადოებრივი ტრანსპორტი

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის კვლევისას განვიხილავთ საკვლევ ტერიტორიასთან უახლოესად მდებარე 2 საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებას და მათზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობას.

„1 მიმართულება“

#882 (მირცხულავას ქუჩა, შალიკაშვილის ხიდის მიმართულებით)

„2 მიმართულება“

#903 (მირცხულავას ქუჩა, ცაბაძის ქუჩის მიმართულებით)

M3 მარშრუტები	#11, #84	#15 #86	#20	#21	#27	#33	#46	#51

M2 მარშრუტები	#6	#11	#30	#31	#32	#40	#41	#51
	#85	#100	#108	#111	#122	#142	#145	#167
	#171	#202	#204					



ილუსტრაცია # 12

*** M3 კატეგორიის მარშრუტები იხილეთ დანართში N3**

M2 კატეგორიის ავტობუსები მოძრაობენ #6, #10, #11, #30, #31, #32, #40, #41, #51, #102, #108, #111, #124, #145, #167 და #204 მარშრუტებზე.



ილუსტრაცია # 13

რეზერვების ანალიზი

M2 და M3 კატეგორიების ავტობუსების მაქსიმალური ტევადობების და დატვირთულობების შესწავლით მოვახდინეთ პიკის საათებში საშუალო რეზერვების გამოთვლა მიმართულებების და მარშრუტების მიხედვით.



ცხრილი N 7



ცხრილი N 8



ცხრილი N 9



ცხრილი N 10

M2 და M3 კატეგორიების ავტობუსებში არსებული რეზერვების რაოდენობები მარშრუტების მიხედვით პიკის საათში (08:30-09:30) მოცემულია ცხრილების სახით.

M2 და M3 მარშრუტის #	მიმართულება	ტევადობა	ინტერვალი (წთ)	სიხშირე (რაოდენობა/ საათში)	მოცულობა ადამიანი / საათში	დატვირთულობა ადამიანი / საათში	რეზერვი (ადამიანი/ საათში)
1	2	3	4	5	6	7	8
		A	B	C=60/B	D=A*C	F	G=D-F
6	რევაზ თაბუკაშვილის ქ.	21	9	7.0	147	90	57
	ლუბლიანას ქ.	21	10	6.0	126	88	38
11	იონა ვაკელის ქ.	21	15	4.0	84	36	48
	გრიგოლ ხანძთელის ქ.	21	10	6.0	126	84	42
30	მ/ს "დელისი"	21	12	5.0	105	50	55
	ომარ ხიზანიშვილის ქ.	21	15	4.0	84	67	17
31	მ/ს "ავლაბარი"	21	12	5.0	105	46	59
	ზღვის უბნის IV მ/რ	21	10	6.0	126	103	23
32	პატარა დიღომი	21	12	5.0	105	78	27
	ილია ჭავჭავაძის გამზირი	21	10	6.0	126	105	21
40	ვახტანგ ვეკუას ქ.	21	10	6.0	126	50	76
	ვაშლიჯვრის დასახლება	21	8	8.0	168	90	78
41	ამაღლების ქ.	21	12	5.0	105	78	27
	დიდი დიღომი IV მ/რ	21	7	9.0	189	155	34
51	ანა პოლიტკოვსკაიას ქ.	21	15	4.0	84	57	27
	თბილისი მოლის მიმდებ.	21	8	8.0	168	130	38
85	ვახტანგ ვეკუას ქ.	21					
	#8 სასჯელაღს. დაწეს	21					
100	ვაჟა-ფშაველას V კვ.	21	12	5.0	105	74	32
	ომარ ხიზანიშვილის ქ.	21	15	4.0	84	61	23
108	დიმიტრი გულიას ქ.	21	15	4.0	84	21	63
	მ/ს "დიდუბე" (ქვ)	21					

111	მიხეილ ბუხაიძის ქ.	21	20	3.0	63	25	38
	სოფელი გლდანი	21	15	4.0	84	71	13
122	ნიკო ფიროსმანის მოედნი	21	60	1.0	21	8	13
	მაღლივი კორპუსი	21	30	2.0	42	29	13
142	დავით კლდიაშვილის ქუცა	21	20	3.0	63	32	32
	მუხიანის IV მ/რ	21					
145	თავისუფლების მოედანი	21	30	2.0	42	19	23
	ნოდარ დუმბაძის გამზირი	21	12	5.0	105	86	19
167	სესილია თაყაიშვილის ქუჩა	21	12	5.0	105	46	59
	გმირ კურსანტთა ქ.	21	15	4.0	84	44	40
171	ნინო ჟვანიას ქ.	21	30	2.0	42	23	19
	ზღვის უბნის III მ/რ, IV კვ	21	30	2.0	42	36	6
202	ილია ჭავჭავაძის გამზირი	21	20	3.0	63	34	29
	გლდანის VI მ/რ	21	6	10.0	210	181	29
204	მიხეილ წინამძღვრიშვილის ქ.	21	12	5.0	105	25	80
	თიანეთის ქ.20	21	12	5.0	105	74	32
20	ფხოვის ქუჩა	43	10	6.0	258	159	99
	ბავშვთა #2 საავადმყოფო	43	10	6.0	258	189	69
27	სადგურის მოედანი	43	15	4.0	172	82	90
	ვაშლიჯვრის დასახლების IV ზონა	43	15	4.0	172	133	39
84	სადგურის მოედანი	43	20	3.0	129	65	65
	ფერაძის ქუჩა	43	30	2.0	86	73	13
86	სადგურის მოედანი	43	20	3.0	129	52	77
	მუხიანის III მ/რ	43	15	4.0	172	112	60
11	დინამო არენა	80	30	2.0	160	56	104
	ზაჰესი	80	20	3.0	240	168	72
15	სადგურის მოედანი	80	20	3.0	240	136	104

	დიდი დიღომი IV მ/რ	80	20	3.0	240	184	56
33	ზარათაშვილის ქუჩა	80	20	3.0	240	136	104
	გლდანის ტბა	80	20	3.0	240	184	56
46	მ/ს ავლაბარი	80	15	4.0	320	200	120
	ზელიაშვილის ქუჩა	80	30	2.0	160	112	48
21	მაღლივი კორპუსი	86	60	1.0	86	52	34
	დიდი დიღომი IV მ/რ	86	20	3.0	258	198	60
51	ბაგები	86	20	3.0	258	181	77
	გლდანულა	86	30	2.0	172	146	26
1 მიმართულებით 8:30 -9:30 საათში M3 რეზერვი							798
2 მიმართულებით 8:30 -9:30 საათში M3 რეზერვი							473
1 მიმართულებით 8:30 -9:30 საათში M2 რეზერვი							762
2 მიმართულებით 8:30 -9:30 საათში M2 რეზერვი							464

ცხრილი N 11

M2 და M3 კატეგორიების ავტობუსებში არსებული რეზერვების რაოდენობები მარშრუტების მიხედვით პიკის საათში (18:00-19:00) მოცემულია ცხრილების სახით.

M2 და M3 მარშრუტის #	მიმართულება	ტევადობა	ინტერვალი (წთ)	სიხშირე (რაოდენობა/ საათში)	მოცულობა ადამიანი / საათში	დატვირთულობა ადამიანი / საათში	რეზერვი (ადამიანი/ საათში)
1	2	3	4	5	6	7	8
		A	B	C=60/B	D=A*C	F	G=D-F
6	რევაზ თაბუკაშვილის ქ.	21	7	9.0	189	130	59
	ლუბლიანას ქ.	21	9	7.0	147	95	53
11	იონა ვაკელის ქ.	21	20	3.0	63	38	25
	გრიგოლ ხანძთელის ქ.	21	20	3.0	63	32	32
30	მ/ს "დელისი"	21	20	3.0	63	53	11
	ომარ ხიზანიშვილის ქ.	21	15	4.0	84	53	32
31	მ/ს "ავლაბარი"	21	12	5.0	105	99	6
	ზღვის უბნის IV მ/რ	21	12	5.0	105	67	38

32	პატარა დიღომი	21	12	5.0	105	76	29
	ილია ჭავჭავაძის გამზირი	21	30	2.0	42	29	13
40	ვახტანგ ვეკუას ქ.	21	15	4.0	84	71	13
	ვაშლიჯვრის დასახლება	21	12	5.0	105	74	32
41	ამაღლების ქ.	21	10	6.0	126	101	25
	დიდი დიღომი IV მ/რ	21	12	5.0	105	48	57
51	ანა პოლიტკოვსკაიას ქ.	21	12	5.0	105	99	6
	თბილისი მოლის მიმდებ.	21	12	5.0	105	82	23
85	ვახტანგ ვეკუას ქ.	21	60	1.0	21	8	13
	#8 სასჯელაღს. დაწეს	21					
100	ვაჟა-ფშაველას V კვ.	21	12	5.0	105	63	42
	ომარ ხიზანიშვილის ქ.	21	20	3.0	63	42	21
108	დიმიტრი გულიას ქ.	21	60	1.0	21	8	13
	მ/ს "დიდუბე" (ქვ)	21					
111	მიხეილ ბუხაიძის ქ.	21	30	2.0	42	27	15
	სოფელი გლდანი	21					
122	ნიკო ფიროსმანის მოედნი	21	60	1.0	21	13	8
	მაღლივი კორპუსი	21					
142	დავით კლდიაშვილის ქუცა	21	20	3.0	63	36	27
	მუხიანის IV მ/რ	21					
145	თავისუფლების მოედანი	21	30	2.0	42	38	4
	ნოდარ დუმბაძის გამზირი	21	15	4.0	84	38	46
167	სესილია თაყაიშვილის ქუჩა	21	15	4.0	84	50	34
	გმირ კურსანტთა ქ.	21	30	2.0	42	15	27
171	ნინო ჟვანიას ქ.	21	30	2.0	42	34	8
	ზღვის უბნის III მ/რ, IV კვ	21					
202	ილია ჭავჭავაძის გამზირი	21	12	5.0	105	97	8

	გლდანის VI მ/რ	21	20	3.0	63	44	19
204	მიხეილ წინამძღვრიშვილის ქ.	21	30	2.0	42	27	15
	თიანეთის ქ.20	21	20	3.0	63	15	48
20	ფხოვის ქუჩა	43	15	4	172	138	34
	ბავშვთა #2 საავადმყოფო	43	15	4	172	138	34
27	სადგურის მოედანი	43	30	2	86	77	9
	ვაშლიჯვრის დასახლების IV ზონა	43	30	2	86	56	30
84	სადგურის მოედანი	43	30	2	86	82	4
	ფერაძის ქუჩა	43	30	2	86	43	43
86	სადგურის მოედანი	43	30	2	86	86	0
	მუხიანის III მ/რ	43	30	2	86	43	43
11	დინამო არენა	80	30	2	160	152	8
	ზაჰესი	80	20	3	240	96	144
15	სადგურის მოედანი	80	15	4	320	296	24
	დიდი დიღომი IV მ/რ	80	30	2	160	120	40
33	ბარათაშვილის ქუჩა	80	20	3	240	232	8
	გლდანის ტბა	80	20	3	240	88	152
46	მ/ს ავლაბარი	80	30	2	160	128	32
	ბელიაშვილის ქუჩა	80	20	3	240	112	128
21	მაღლივი კორპუსი	86	60	1	86	69	17
	დიდი დიღომი IV მ/რ	86	30	2	172	103	69
51	ბაგები	86	20	3	258	215	43
	გლდანულა	86	20	3	258	198	60
1 მიმართულებით 18:00 -19:00 საათში M3 რეზერვი							137
2 მიმართულებით 18:00 -19:00 საათში M3 რეზერვი							683
1 მიმართულებით 18:00 -19:00 საათში M2 რეზერვი							361
2 მიმართულებით 18:00 -19:00 საათში M2 რეზერვი							439

ცხრილი N 12

შემოთავაზებული მშენებლობის მიმოხილვა



ილუსტრაცია # 14

განმარტებითი ბარათი

დაგეგმვის საჭიროება: დამკვეთს წარმოადგენს შპს გლობალური ტექნოლოგიები, რომელიც ასევე მოქმედებს მესაკუთრეების სახელით. საპროექტო ტერიტორია არის იურიდიული პირის საკუთრებაში და მესაკუთრების მიერ დაგეგმილია საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ფუნქციების (საზოგადოებრივი, საწარმო, საოფისე, საცხოვრებელი) ფუნქციების განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა. აღნიშნული საჭიროებს ტერიტორიის განვითარების ხედვის შეჯერებას და სამშენებლოდ მომზადებას — დაგეგმვას. დამკვეთის მთხოვნებია: • გდ შესაბამისად განსაზღვრული სამშენებლო განვითარების პარამეტრების გათვალისწინებით, რომელიც თავის მხრივ მიუთითებს საბჭოს რეკომენდაციებზე, დაგეგმილი ინფრასტრუქტურის განთავსების არეალების, პარამეტრების და სხვა ტექნიკურ-სამართლებრივი ასპექტების გადაწყვეტა; • საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და განვითარება. • დაგეგმილ ობიექტებთან დაუბრკოლებელი სატრანსპორტო მისადგომობის ორგანიზება და ტერიტორიაზე არსებული სერვიტუტების დაცვა. დაგეგმვის მიზნები და ამოცანები გამომდინარე დამკვეთის ტექნიკური დავალებიდან და მოთხოვნებიდან, გრგ მიზანია მრავალფუნქციური კომპლექსის განვითარებისთვის საპროექტო ტერიტორიის ერთიანი სივრცით-გეგმარებითი გააზრება და საპროექტო მიწის ნაკვეთ(ებ)ის (NN 01.13.06.001.011, 01.13.06.001.015, 01.13.06.001.016, 01.13.06.001.027, 01.13.06.001.036)

განაშენიანების რეგულირება, უკვე მგგ დადგენილი ქვეზონების (სსზ-2) და განვითარების ხედვის შესაბამისად დაზუსტებული ქვეზონების ფარგლებში.

დასახელება	რაოდენობა	განზომილება
მიწის ნაკვეთის ფართობი	**14708**	მ²
საცხოვრებელი ფართობი	**38865.2**	მ²
საოფისე ფართობი	**11597.4**	მ²
საზაფხულო ფართობი	**4923.2**	მ²
საპარკინგე ადგილების რაოდენობა	**340**	**ცალი**

ცხრილი N 13

გენერირებული/მიზიდული ნაკადები და სივრცითი განაწილება



ილუსტრაცია # 15

გადაადგილებების სივრცითი და მათემატიკური ანალიზის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიქმნა სატრანსპორტო ნაკადების განაწილების რუკა სამიზნე მაკრო ზონების მიხედვით, რომელიც მთელ ქალაქზე განზოგადდება არსებული სატრანსპორტო ნაკადების გათვალისწინებით.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიდან გამოყვანილი კოეფიციენტების მიხედვით მოხდა ჩვენს მიერ დათვლილი სატრანსპორტო ნაკადების პროპორციული გადანაწილება იმ კვანძებზეც, რომლების ანალიზიც მოთხოვნილია დავალების სახით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

გენერირებული ნაკადები

დასახელება	რაოდენობა
გამოკითხული შინამეურნეობა	94
გამოკითხული ადამიანები	314
ყველა სახის გადაადგილება	818

გამოკითხულ შინამეურნეობათა მფლობელობაში არსებული მოტორიზებული სატრანსპორტო საშუალებები	58
ავტომობილიზაციის კოეფიციენტი მაკრო ზონისტვის	0.62
გადაადგილებები	
ავტომობილის მძღოლი	219
ავტომობილის მგზავრი	117
ტაქსით	26
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	321
ქვეითი	123
სხვა გადაადგილება	12

ცხრილი N 14

იმის გასარკვევად, თუ რა სახის ტრანსპორტით გადაადგილება ჭარბობს აღნიშნული ზონიდან, მოხდა მათი მოდალური განაწილება გადაადგილების საშუალებების მიხედვით:



ილუსტრაცია # 16

აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოხდა მოტორიზებული კერძო სატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილების ანალიზი გეოსაინფორმაციო საშუალებების გამოყენებით, რათა მომხდარიყო მათი სივრცული აღქმა/განაწილება.

საკვლევი ზონიდან ყველა მიმართულებით კერძო ტრანსპორტით გადაადგილებების რიცხვი შეადგენს 362-ს, რაც მთლიანი გადაადგილებების 44%-ა. შემდგომ ილუსტრაციაში მოცემულია საკვლევი ზონის შიგნით(N31) ზონის შიგნით არსებული გადაადგილებების მოდალური განაწილება.



ილუსტრაცია # 17

რუკაზე გამოსახულია ავტომობილით გადაადგილებების სივრცითი განაწილება რაოდენობის მიხედვით სამიზნე ზონებში. უნდა აღინიშნოს, რომ ავტომობილებით გადაადგილების სრული რაოდენობის 13.5% ხორციელდება თვითონ საკვლევი მაკრო ზონის შიგნით. საკვლევი ზონის შიგნით ასევე პოპულარულია ფეხით სიარულიც(56%).



ილუსტრაცია # 18

შემდგომ ეტაპზე მოხდა საკვლევი ზონიდან გენერირებული გადაადგილებების კვლევა მოტივის მიხედვით. ილუსტრაციაზე მოცემულია გადანაწილების პროცენტული მაჩვენებლები გადაადგილების მოტივის მიხედვით:



ილუსტრაცია # 19



ცხრილი N 15

გენერირებული (საპროექტო) ნაკადების კალკულაცია - საზოგადოებრივი ტრანსპორტი



ილუსტრაცია # 20. გენერირებული ნაკადების სივრცითი განაწილება (ერთი დღის)

რუკაზე გამოსახულია საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებების ინტენსივობა ფერების გრადაციით.

შემდგომ ცხრილში მოცემულია გენერირებული ადამიანების რაოდენობების ანგარიშები ფართების ტიპების მიხედვით:

	ფართი (მ²)	კოეფიციენტი[1]	ადამიანების რაოდენობა	კოეფიციენტი[2]	გადაადგილებების სრული რაოდენობა
საცხოვრებელი	38865.2	18.6	2090	1.56	3260
საოფისე	11597.4	9.3	1247	2	2494

ცხრილი N 16 მიზიდული გადაადგილებები (შინამეურნეობების კვლევა)

საცხოვრებელ ფართზე გამოყვანილი სავარაუდო მაცხოვრებლების რაოდენობიდან(2090) შეგვიძლია ვიანგარიშოთ დღიური სავარაუდო გადაადგილებების რაოდენობა:

[1] კოეფიციენტი აღებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება N 41-დან (2016 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი, დაკავებულობა)

[2] ადამიანების გამოთვლილი რაოდენობის მიერ შესრულებული სრული დღიური გადაადგილებების კოეფიციენტი (შინამეურნეობების მობილობის კვლევა (SYSTRA, 2016))

$$\text{დღიური გადაადგილება} = 2090 * 1.56^{3} = \mathbf{3260}$$

$$\text{დილის პიკის საათი} = 3260 * 30\%^{4} = \mathbf{978}$$

შინამეურნეობების მობილობის კვლევის ანალიზისას ვარკვევთ დილის პიკის საათში შესრულებულ გადაადგილებების მოდალურ განაწილებას:



ილუსტრაცია # 21. დილის პიკის საათში გენერირებული ნაკადები

	გენერირებული გადაადგილება დილის პიკის საათში	კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	978	0.45	443
ქვეითი	978	0.20	196
ავტომობილის მგზავრი	978	0.11	111
ავტომობილის მძღოლი	978	0.19	189

[3] 1.56 - დღიური გადაადგილების მაჩვენებელი თბილისის საშუალო მაცხოვრებლისთვის (შინამეურნეობების მობილობის კვლევა (SYSTRA, 2016))

[4] 30% -დილის პიკის საათის წილი (შინამეურნეობების მობილობის კვლევა (SYSTRA, 2016))

ტაქსის მგზავრი	978	0.02	20
სხვა	978	0.02	20

ცხრილი N 17. დილის პიკის საათში გენერირებული ნაკადები საცხოვრებლიდან



ილუსტრაცია # 22. საღამოს პიკის საათში გენერირებული ნაკადები სამსახური - სახლი

	გენერირებული გადაადგილება საღამოს პიკის საათში	კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	1247	0.41	511
ქვეითი	1247	0.07	92
ავტომობილის მგზავრი	1247	0.17	215
ავტომობილის მძღოლი	1247	0.31	388
ტაქსის მგზავრი	1247	0.03	41

ცხრილი N 23. საღამოს პიკის საათში გენერირებული ნაკადები სამსახური - სახლი

მიზიდული ნაკადები

საკვლევ ზონაში მიზიდული ნაკადების შემთხვევაში გადაადგილებების რაოდენობა ყველა სხვა ზონიდან შეადგენს 810- ს.



ილუსტრაცია # 23



ილუსტრაცია # 24



ილუსტრაცია # 25



ილუსტრაცია # 26. დილის პიკის საათში მიზიდული ნაკადები სახლი - სამსახური

	მიზიდული გადაადგილება დილის პიკის საათში	კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	1247	0.45	561
ქვეითი	1247	0.05	59
ავტომობილის მგზავრი	1247	0.11	142
ავტომობილის მძღოლი	1247	0.36	443
ტაქსის მგზავრი	1247	0.01	18
სხვა	1247	0.02	24

ცხრილი N 18. დილის პიკის საათში მიზიდული ნაკადები სახლი - სამსახური

საღამოს პიკის საათი=3260* 22[5]%=717

[5] -საღამოს პიკის საათის მოზიდული ნაკადების წილი (შინამეურნეობების გადაადგილებების კვლევა (SYSTRA, 2016)).



ილუსტრაცია # 27 საღამოს პიკის საათში მიზიდული წაკადები

	მიზიდული გადაადგილება საღამოს პიკის საათში	კოეფიციენტი	გადაადგილების რაოდენობა
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	717	0.44	319
ქვეითი	717	0.16	112
ავტომობილის მგზავრი	717	0.09	64
ავტომობილის მძღოლი	717	0.27	191
სხვა	717	0.04	32

ცხრილი N 28. საღამოს პიკის საათში საცხოვრებელ ფართზე მიზიდული წაკადები

საზოგადოებრივი ტრანსპორტის საპროგნოზო რეზერვები

თუ შევაჯამებთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეზერვების ანალიზსა(თავი: „რეზერვების ანალიზი“) და ზემოაღნიშნულ ანგარიშებს, უხეშად შეგვიძლია გამოვიყვანოთ მგზავრთგადაყვანის არსებული და მოსალოდნელი რეზერვი. მოზიდული და გენერირებული მგზავრები ავტობუსის გაჩერებებზე დამატებულია შესაბამის ორივე მიმართულებაზე. აღსანიშნავია საკვლევ ტერიტორიასთან მეტროს სადგურების სიახლოვე, რაც გასათვალისწინებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტით შესრულებული გადაადგილებეების პროცენტულ გადანაწილებაში:



ილუსტრაცია# 1

მიმართულების N	M3 არსებული რეზერვი	M2 არსებული რეზერვი	დამატებული სავარაუდო მგზავრი			საპროგნოზო რეზერვი	
	დილა		მეტრო	M3	M2	M3	M2
1	798	762	119	387	499	884	727
2	473	464					
	საღამო		მეტრო	M3	M2	M3	M2
1	137	361	96	321	413	499	387
2	683	439					

ცხრილი N 19 საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეზერვების ანალიზი

საკვლევი არეალის ქუჩებისა და კვანძების გამტარუნარიანობის კვლევა

ლოკაცია #1. ა. წერეთელის გამზირის და დიდუბოს ხიდის გადაკვე (დან. 1. ილუსტრაცია# 1)

რობაქიძის გამზირიდან მომავალი 3 ზოლიან გზაზე სატრანსპორტო საშუალებები ხიდის გადმოსვლის შემდგომ ახორციელებენ ნაწილი მარჯვენა მოხვევას ხოლო შემდგომ ნაწილი მარცხენა მოხვევას მარცხენა სანაპიროსთან დასაკავშირებლად. დანარჩენი გზას აგრძელებს წერეთლის გამზირისკენ.

წერეთლის გამზირიდან მომავალი 3 ზოლიან გზაზე სატრანსპორტო საშუალებებიდან ნაწილი უხვევს მარჯვნივ ნაწილი ჩადის მარცხენა სანაპიროზე ხოლო დანარჩენები გზას აგრძელებენ რობაქიძის გამზირისკენ.

აღნიშნულ გზაჯვარედინზე არის მარცხენა მომხვევ სატრანსპორტო საშუალებებთან კონფლიქტი. ქვემოთ ანგარიშებში ასახული არისს თუ რა დატვირთვა აქვს საქონფლიქტო წერტილებს.

შესაბამისი მიმართულებების ქალაქის პირობებით განგარიშების შედეგები გამტარუნარიანობა და მოძრაობით დატვირთულობის კოეფიციენტი დილის პიკის საათის მონაცემების მიხედვით

მიმართულება ლოკაციებს შორის	Pmax	n	fб		frp		fi		fp		fавт		fгер	fR		fV		P	Z
	მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებების მაქსიმალური ზოლების რაოდენობა ერთი მიმართულებით	ზოლის სიგანე m	კოეფიციენტი	მაღალი გაბ. სატრ. საშვალება %	კოეფიციენტი	გრძივი დახრილობა %	კოეფიციენტი	მანეშრის რაოდენობა nm	კოეფიციენტი	tзам	კოეფიციენტი	კოეფიციენტი = 0.9	მრუდის რადიუსი	კოეფიციენტი	სიჩქარე	კოეფიციენტი	გზის გამტარუნარიანობა ავტ|სთ	დატვირთვის დონე
1.1+1.2+1.5 +1.8+1.11	2100	3	3,2	0,96	3,49	0,97	0	1,00	0	1,00	677	0,94	0,9	>600m	1	40	0,96	4711	0,72
1.2+1.5+1.8+1.11	2100	3	3,2	0,96	3,15	0,97	0	1,00	0	1,00	662	0,94	0,9	<100m	0,85	20	0,96	4023	0,64
1.2+1.3	2100	3	3,2	0,96	3,52	0,97	0	1,00	0	1,00	634	0,94	0,9	>600m	1	40	0,96	4729	0,480
1.10+1.7+1.4	2100	3	3,2	0,96	3,27	0,97	0	1,00	0	1,00	605	0,94	0,9	>600m	1	40	0,96	4755	0,444
1.11+1.10+1.9	2100	3	3,2	0,96	3,26	0,97	0	1,00	0	1,00	576	0,95	0,9	<100m	0,85	40	0,96	4053	0,492
1.11+1.10 +1.9+1.12	2100	3	3,2	0,96	2,73	0,97	0	1,00	0	1,00	576	0,95	0,9	>600m	1	40	0,96	4793	0,680
1.1	2100	2	3,5	0,99	4,57	0,96	-3	1,02	0	1,00	14	1,00	0,9	<100m	0,85	40	0,96	2955	0,274
1.8+1.7+1.6	2100	2	3,5	0,99	1,24	0,99	-3	1,02	0	1,00	43	0,99	0,9	>600m	1	40	0,96	3576	0,204
1.4+1.5	1800	1	3,0	0,93	0,51	0,99	0	1,00	0	1,00	14	1,00	0,9	>600m	1	10	0,96	1438	0,137
1.9+1.6	1800	1	3,0	0,93	0,44	1,00	0	1,00	0	1,00	0	1,00	0,9	>600m	1	10	0,96	1445	0,158

მობრუნების შერწყმის და გადაკვეთის მიმართულებებს ვანგარიშობთ შემდეგი ფორმულით:

$$P=N\left(\frac{e^{-N/T*(\Delta t-1)}}{1-e^{-N/T*\delta t}}\right)$$

N - მთავარი გზის ინტენსოვობა ერთ ზოლზე

e – ირაციონალური კონსტანტა ≈2,72

Δt - ზღვრული ინტერვალის დრო, რომელიც დამოკიდებილა ინტენსივობაზე და მანევრის ტიპზე.

δt - მინიმალური ინტერვალი სატრანსპორტო. საშვალებებს შორის რომლებიც ასრულებენ მანევრს.

T = 3600 წმ.

დილის მონაცემები მიმართულება 1.11-თვის

(მარცხნივ მოხვევას ახორციელებს 65 ავტ/სთ; დაყვანილი - 65ავტ/სთ)

N(1.10+1.9)=1931ავტ/სთ; დაყვანილი - 2039 ავტ/სთ;

Δt (сп)= 8,2 წმ;

δt = 2,6 წმ;

$$P= 2039\left(\frac{0,017}{0,771}\right)=\mathbf{45}\text{ ავტ/სთ}$$

მოძრაობის საკონფლიქტო დატვირთულობის კოეფიციენტი

$$z=N/P=65/45=1.45$$

დილის მონაცემები მიმართულება 1.8-თვის

(მარცხნივ მოხვევას ახორციელებს 399 ავტ/სთ; დაყვანილი - 405ავტ/სთ)

N(1.10+1.9)=1931ავტ/სთ; დაყვანილი - 2039 ავტ/სთ;

Δt (п)= 8,2 წმ;

δt = 2,6 წმ;

$$P= 2039\left(\frac{0,017}{0,771}\right)=\mathbf{45}\text{ . ავტ/სთ}$$

მოძრაობის საკონფლიქტო დატვირთულობის კოეფიციენტი

$$z=N/P=405/45=9.06$$

დილის მონაცემები მიმართულება 1.5-თვის

(მარცხნივ მოხვევას ახორციელებს 118 ავტ/სთ; დაყვანილი - 120ავტ/სთ)

N(1.10+1.7)=2032ავტ/სთ; დაყვანილი - 2147 ავტ/სთ;

Δt (п)= 8,2 წმ;

δt = 2,6 წმ;

$$P= 2147 \left(\frac{0,014}{0,788}\right) = 37 \text{ ავტ/სთ}$$

მოძრაობის დატვირთულობის კოეფიციენტი

$$z = {}^{N}/_{P} = {}^{120}/_{37} = 3.24$$

დილის მონაცემები მიმართულება 1.3-თვის

(მარჯვნივ მოხვევას ახორციელებს 269 ავტ/სთ; დაყვანილი - 284ავტ/სთ)

N(1.2/3)=664ავტ/სთ; დაყვანილი - 705 ავტ/სთ;

Δt (сп)= 4 წმ;

δt = 2,6 წმ;

$$P= 705 \left(\frac{0,556}{0,399}\right) = 981 . \text{ ავტ/სთ}$$

მოძრაობის დატვირთულობის კოეფიციენტი

$$z = {}^{N}/_{P} = {}^{284}/_{981} = 0.29$$

დილის მონაცემები მიმართულება 1.4-თვის

(მარჯვნივ მოხვევას ახორციელებს 79 ავტ/სთ; დაყვანილი - 79ავტ/სთ)

N(1.5)=118 ავტ/სთ; დაყვანილი - 120 ავტ/სთ;

Δt (сп)= 4 წმ;

δt = 2,6 წმ;

$$P= 120\left(\frac{0,91}{0,08}\right) = 1307 \text{ ავტ/სთ}$$

მოძრაობის დატვირთულობის კოეფიციენტი

$$z = {}^{N}/_{P} = {}^{79}/_{1307} = 0.06$$

დილის მონაცემები მიმართულება 1.9-თვის

(მარჯვნივ მოხვევას ახორციელებს 164 ავტ/სთ; დაყვანილი - 165 ავტ/სთ)

N(1.7+1.8)=664 ავტ/სთ; დაყვანილი - 678 ავტ/სთ;

Δt (п)= 8,2 წმ;

δt = 2,6 წმ;

$$P= 1210\left(\frac{0,25}{0,38}\right) = \mathbf{450} \text{ ავტ/სთ}$$

მოძრაობის დატვირთულობის კოეფიციენტი

$$z = {}^{N}/_{P} = {}^{165}/_{450} = \mathbf{0.36}$$

დილის მონაცემები მიმართულება 1.6-თვის

(მარჯვნივ მოხვევას ახორციელებს 64 ავტ/სთ; დაყვანილი - 64 ავტ/სთ)

N(1.7)=265 ავტ/სთ; დაყვანილი - 273 ავტ/სთ;

Δt (сп)= 4 წმ;

δt = 2,6 წმ;

$$P= 273\left(\frac{0,79}{0,18}\right) = \mathbf{1214} \text{ ავტ/სთ}$$

მოძრაობის დატვირთულობის კოეფიციენტი

$$z = {}^{N}/_{P} = {}^{64}/_{1214} = \mathbf{0.05}$$

შესაბამისი მიმართულებების განგარიშების შედეგები გამტარუნარიანობა და მოძრაობით დატვირთულობის კოეფიციენტი საღამოს პიკის საათის მონაცემების მიხედვით

მიმართულება ლოკაციებს შორის	Pmax	n	fბ		frp		fi		fp		fавт		fтер	fR		fV		P	Z
	მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებების მაქსიმალური ზოლების რაოდენობა ერთი მიმართულებით	ზოლების რაოდენობა ერთი მიმართულებით	ზოლის სიგანე m	კოეფიციენტი	მაღალი გაბ. სატრ. სამგზავრო %	კოეფიციენტი	გრძივი დახრილობა %	კოეფიციენტი	მანევრის რაოდენობა nm	კოეფიციენტი	ttam	კოეფიციენტი	კოეფიციენტი = 0.9	მრუდის რადიუსი	კოეფიციენტი	სიჩქარე	კოეფიციენტი	გზის გამტარუნარიანობა ავტ\სთ	დატვირთვის დონე
1.1+1.2+1.5 +1.8+1.11	2100	3	3,2	0,96	3,11	0,97	0	1,00	0	1,00	576	0,95	0,9	>600m	1	40	0,96	4775	0,60
1.2+1.5+1.8+1.1 1	2100	3	3,2	0,96	3,02	0,97	0	1,00	0	1,00	547	0,95	0,9	<100m	0,85	20	0,96	4074	0,52
1.2+1.3	2100	3	3,2	0,96	3,01	0,97	0	1,00	0	1,00	533	0,95	0,9	>600m	1	40	0,96	4800	0,387
1.10+1.7+1.4	2100	3	3,2	0,96	2,92	0,97	0	1,00	0	1,00	518	0,95	0,9	>600m	1	40	0,96	4811	0,399
1.11+1.10+1.9	2100	3	3,2	0,96	2,38	0,98	0	1,00	0	1,00	461	0,96	0,9	<100m	0,85	40	0,96	4134	0,458
1.11+1.10 +1.9+1.12	2100	3	3,2	0,96	2,03	0,98	0	1,00	0	1,00	504	0,95	0,9	>600m	1	40	0,96	4860	0,670
